

ლელო

ნაპარტველოს სსრ საორბულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფაპირთა საპარტველოს რასსუალისაპრი საბაოს ორგანო
Organ Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბათუმის 80-20 წელი

№ 149 (2512) ხუთშაბათი, 30 ივლისი, 1964 წ. შანი 3 კაპ.



ნორჩები — გუნდის წიაღში

საქართველოს ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კიკეთის პიონერთა ბანაკის ნორჩი დამსვენებლები ზაფხულის არდადეგებს ხალისიანად ატარებენ, მოგზაურობენ ბუნების წიაღში, აწყობენ შეჯიბრებებს...

უკანასკნელ საათში

არის მსუბუქი რეკორდი!

ირკუტსკი, 29 ივლისი. 1955 წლიდან შეურყევად იდგა იტალიელი მოყვარული ველოსიპედისტის გასპარელის მსოფლიო რეკორდი 500 მეტრზე სვლით (29,80). და აი, იგი დაცა! ჯერ კოპენჰაგენის ტრეკზე იტალიელის მიღწევა გააუმჯობესა მოყვარულმა შორის მსოფლიო ჩემპიონმა სპრინტში ბელგიელმა პატრიკ სერკემ, რომელმაც ეს დისტანცია დაფარა 29,66 წამში.

მაგრამ ამ ცნობამ ვერც კი მოასწრო სპორტული სამყაროს შემოგვლა, რომ დღეს აქ გახსნილი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილემ ელოგუნოვმა (მოსკოვის „ბურევესტნიკი“) 500-მეტრიან დისტანციასაც საოცარი სისწრაფით ჩაიჭროლა და სერკეს მიღწევასაც გადასუფა ხაზი. ლოგუნოვის ახალი მსოფლიო რეკორდია 29,4.

საინტერესოა, რომ ერთი წუთის შემდეგ სტარტი აიღო რიგგემა იმანტ ბოლნიეკსმა, რომელმაც ასევე 29,4 წამში დაფარა დისტანცია, მაგრამ ეს უკვე მხოლოდ მსოფლიო რეკორდის გაბეჭობა იყო.

სურსათი თანაოვი

ვილნიუსი, 29 ივლისი (დეპუტი ჩვენი სვეც. კორ.). თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთულ ქალთა გუნდი მორიგ ტურში დაამარცხა (36:57) რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაერბთან, ხოლო ჩვენი პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა კიევის სამედიცინო ინსტიტუტის სპორტსმენებთან — 48:46.

კალათბურთულ ვაკეთა შეხვედრებში კაუნასის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა მოუგო თბილისის უნივერსიტეტს — 73:44, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა — ყაზანის უნივერსიტეტს — 53:43.

დაიწყო ფიზკულტურის ინსტიტუტების კალათბურთულ ქალთა შეხვედრები. საქართველოს წარგზავნილებმა I ტურში გაიმარჯვეს ეოლოგარდელეებთან მატჩში — 45:35.

6. ფოფხაძე

სურსათი თანაოვი

ბუენოს-აირესი, 29 ივლისი. საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის XIII ტურში ცენტრალური შეხვედრები პეტროსიანისა ბირნთან და კერესისა — ბოლბორჩანთან 5-საათიანი თამაშის შემდეგ არ დამთავრებულა. ნაიდორფმა 34-ე სულაზე დაამარცხა პილნიკი და 9,5 ქულით I ადგილზე გავიდა. შეხვედრა მოუგო გიშარს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ლიდერს 0,5 ქულით ჩამორჩებიან პეტროსიანი და ბირნი, რომელთაც თითო გადადებული პარტია აქვთ. კერესს 8 ქულა და 1 დაუმთავრებელი შეხვედრა აქვს. ტურნირის ბოლომდე 4 ტური დარჩა.

ტეგორიების მიხედვით): მოსკოველებმა ს. სორიკინმა, ო. გრიგორიევმა, ს. სტეპანკინმა, ლენინგრადელმა გ. კაკოშკინმა, ალმატელმა ვ. კარნოვმა, კაუნასელმა რ. ტამულინმა, მოსკოველმა ბ. ლაგუტინმა, ლენინგრადელმა ვ. პოპენჩენკომ, მოსკოველმა ა. კისელიძემ და კრასნოდარელმა ა. იზოსიმოვმა.

პრამონი, 29 ივლისი. სტუდენტ-მოქალაქეთა მსოფლიო ოლიმპიადის მთავარი ფინალის VI ტურში საბჭოთა კავშირის გუნდი შეხვდა გდრ-ის ნაერებს. სასურველი შედეგი დიდ ხანს არ ჩანდა, მაგრამ შემდგომში ოსტატების გ. ხოლოსისა (დონის როსტოვი) და ა. კაპენგუტის (მინსკი) ძლიერი თამაშის წყალობით შეტოქე დამარცხებულ იქნა — 3:1. ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეებმა მოუგეს დანიელებს — 2,5:1,5, აშშ-ის გუნდმა — უნგრეთს — 3:1, ისრაელმა — პოლონეთს — 2,5:1,5, იუგოსლავიამ — მონღოლეთს — 2,5:1,5, ბელგიამ — ავსტრიას — 3:1. 6 ტურის შემდეგ, რითაც დამთავრდა მთავარი ფინალის პირველი ნახევარი, წინაა სსრ კავშირის ნაერები — 18 ქულა. შემდეგ არიან: აშშ — 15, ჩეხოსლოვაკია — 15, უნგრეთი — 14, იუგოსლავია — 13, ბულგარეთი და პოლონეთი — 12-12, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა — 10,5, დანია — 10, გდრ და ისრაელი — 9-9, ავსტრია — 6.

ჩვენი მეორე გუნდი — ფინალში

გუშინ „ლელო“ იტყობინებოდა, რომ თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მიიღოვეს უფლება იტალიაში „პა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდ ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების ფინალში. მივიდა მიორე სასიხარულო ცნობაც ძ. მოსტაქიანს, სადაც თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო საკლუბის გუნდმა აბრამი მიიღოვეს ფინალში თამაშის უფლება.

მოსტაქი (დეპუტი ჩვენი სვეც. კორ.). თბილისელ ფეხბურთელებს თავიანთი ბოლო შეხვედრა „ქან“-თან და „პა“ კლასების ოსტატთა კოლექტივთან, ამ მატჩის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შეხვედრის შემდეგ ბოლომდე შესანიშნავი დარტყმით გაიტანა პირველი გოლი — 1:0. 25-ე წუთზე ჩიხრაძე დარბაზიდან გავიდა მცველებს შორის, მოატყუა მეარეც და გაიტანა მეორე გოლი. თამაშის დასრულებას აკლდა რამდენიმე წუთი, როცა „დინამო“ შეშლო ერთი ბურთის გაქვითვა.

ამრიგად, მატჩი მოიგო ჩვენმა გუნდმა — 2:1 და საკავშირო გათამაშების ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მომდევნო ადგილები დაიკავეს ცხა-მ, „შახტიორმა“ (დონეცი) და „არარატმა“ (ერევანი).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა შორის მოხვდნენ თბილისელთა გუნდის მცველი შევატაბაია, ნახევარმცველი ოზნობიანი, რომლებსაც გადაეცათ სამხსოვრო სარულ-ქრები. თბილისელთა კოლექტივმა მოიპოვა პრიზი საუკეთესო და კორექტული თამაშისათვის.

ბ. ბაქანიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯე.

ანკარის საჭიდაო ხალიჩაზე

ანკარა, 29 ივლისი. 20 ათასამდე მაყურებელი დაესწრო ქალაქის სტადიონზე დღეს გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობას თავისუფალ ჭიდაობის სსრ კავშირის მეორე ნაერებსა და თურქეთის ეროვნულ ნაერებს შორის. მწვავედ მიმდინარე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 5,5:1,5 (ხალიჩაზე არ გამოსულან მჩატე წონის მოჭიდავენი).

საბჭოთა სპორტსმენთაგან ბრწყინვალედ იქიდავა ალმატელმა ა. აიხანოვმა (ქვეშიძე წონა), რომელმაც ქულუბით ძლია ხ. ახსლანს. მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა ქვესაშუალო წონაში ი. ოვანმა მე-9 წუთზე ბეჭებზე დასცა მინსკელი ნ. აქსინოვი. დანარჩენი შეხვედრები თურქებმა ქულუბით მოიგეს, თანაც მხოლოდ თითო ქულის უპირატესობით.

სამწუხაროდ, მატჩის მსაჯობა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. გაოცება გამოიწვია არბიტრთა გადაწყვეტილებამ, როცა მათ გამარჯვება მიაკუთვნეს ოლიმპიურ ჩემპიონს თურქ ხ. გიუნგერს (საშუალო წონა) სსრ კავშირის ჩემპიონთან, თბილისელ შ. ლომიძესთან შერკინებაში. საკამათო იყო აგრეთვე მეორე გადაწყვეტილებაც — ფრე მივი წონის მოჭიდავეთა ი. თიფრუსა და ტალინელ კ. ლიივას შეხვედრაში, რომელმაც საბჭოთა სპორტსმენი თავის მეტოქეზე უდავოდ ძლიერი იყო.

დღეს საბჭოთა მოჭიდავეები გაემგზავრნენ სტამბოლს, სადაც გაიმართება 15-ი მდღიანი მატჩი თურქეთის ნაერებთან.

ფეხბურთის მინდვრებზე

ადგილობრივმა „დინამომ“ ანკარაში 1:0 დაამარცხა გურჯანის „ალახანი“.

ბაქო, 29 ივლისი (ტელეფონით). დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და რუსთაის „მეტალურგი“. თამაში მოიგეს ბაქოელმა ფეხბურთელებმა — 4:1.

„ბ“ კლასის რსდსრ-ს IV ზონის გუნდების სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „დინამო“ (სტავროპოლი) — „შირაქი“ (ლენინაიანი) 1:1, „სპარტაკი“ (ნალიკი) — „ლენინავორცი“ (კაფანი) 3:2, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ლორი“ (კიროვანი) 3:0.

აღმოსავალი, ექსპერიტი, რეპორტი, სპეციალი...

მარსელი, 28 ივლისი. ვეროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის მთელი მთელი ჩემპიონატზე შესანიშნავი სტარტი აიღო ლენინგრადელმა ვ. ვასილიევმა (მეზღაური ე. შუგაი). „ვარსკლავის“ კლასის იალქნაინი ნავით მან ზედიზედ ორი რბოლა მოიგო და მტკიცედ ლიდერობს. მეორე ადგილზე იმყოფებიან ოლიმპიური ჩემპიონები ტ. პინეგინი და ი. შუტკოვი.

ბელგრადი. იუგოსლავიის ჩემპიონთა ინტერნაციონალური ჩემპიონატი მონაწილეობის მიუღებენ ვეროპის სხვადასხვა ჩემპიონის უძლიერესი ჩემპიონთაგანია. უკვე დაგეგმვანთ მიწვევა იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის ეროვნულ ფედერაციებს.

ბოქსი. იაპონიის ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეეცადოს ოლიმპიური შედეგების გარეგანი სახე. ახალ შედეგებზე (რომლებიც უკვე მზადაა) აღებულებია სპორტის სახეობა (რომელიც გამარჯვებულსაც მიეუფლება იგი), ოლიმპიური ემბლემა და ტოკიოს სიმბოლო. შედეგების დიამეტრი 6 სმ-ია. ოქტობრის მდებარე იწონის 90 გრამს, ვერცხლისა — 82-ს, ბრინჯაოსი კი — 69-ს.

სან-პაულო. ცნობილი მარსილიელი ფეხბურთელი ჟიორი ავტომობილის კატასტროფაში მოყვა. ექიმების დასკვნით, ჟიორი მსუბუქადაა დაშავებული და იგი სულ მალე შეძლებს წვრთნას.

ივნიკენ ბოტვინიკს, ტალსა და ფიშერს

როგორც ვიწმინდობით, ბელგარადის გათავისუფლების 20 წლისთავის აღსანიშნავად სექტემბერში, იუგოსლავიის დედაქალაქში გაიმართება დიდი საერთაშორისო საკადრაკო ტურნირი. შეგებრებაში მიწვეული არიან პეტროსიანი,

ბოტვინიკი, ტალი, ფიშერი, ნიდორფი და სხვ. ახლახან მიღებული იუგოსლავური სპორტული გაზეთები „სპორტი“ და „სპორტსკე ნოვოსტი“ იტყობინებდნენ, რომ იუგოსლავიის ქალაქები ბელგრადის დიდი ტურნირის შემდეგ სტუმრად

იწვევენ ჩვენი დროის გამოჩენილ დიდოსტატებს. მაგალითად, გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტი“ წერს, რომ ზაგრების მოქალაქეებმა მოწვევა გაუგზავნეს ბოტვინიკს, ბოტვინიკს და მასთან ერთად ტალსა და ფიშერს ელიან აგრეთვე ქ. ოსიეის (პორტოგალი) მკვიდრნი.

საგზოთა კავშირის პირველობა ფახზურთში

„კლასი“

ბათამაზიის ცხრილი

II ჯგუფი, II კვაკვაფი

მდგომარეობა	30 ივლისისათვის	ქ
თ მ ვ წ ბ	23-7 = +16	29
13 9 6 4	26-14 = +12	24
20 8 7 5	18-17 = +1	23
20 8 6 6	29-19 = +10	22
20 6 9 5	19-13 = +6	21
19 5 10 4	14-10 = +4	20
20 7 6 7	18-21 = -3	20
19 8 3 8	25-24 = +1	19
20 8 3 9	18-22 = -4	19
19 6 7 6	16-22 = -6	19
20 6 5 9	17-22 = -5	17
19 4 7 8	17-21 = -4	15
21 5 5 11	21-37 = -16	15
20 2 9 9	8-20 = -12	13

სურათზე: მომენტები გაწვლილი მატჩებიდან. ზემოთ — თამაშობენ „კლასის II ჯგუფის II კვაკვაფის გუნდები — თბილისის „ლოკომოტივი“ მასპინძლობს სვერდლოვსკის „ურალმასს“. სტუმართმოყვარეობა მაინცდამაინც არ გამოიხატა მოგებულ მატჩში — ნ.1. თბილისელი შავთავა (იგი თითო მარცხს იკლავს) კვლავ გადის გარდაცვალებულ კვაკვაფის მარცხელ მხარეზე. ქვემოთ — საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ცხაპაის „ციხისკის“ კოლექტივს აუცილებლად უნდა გაეგრძელა მასპინძლებთან — სამტრედიის „ლოკომოტივი“ რადგან მოგების შემთხვევაში ცხაპაისელები 23 ქულათ მტკიცედ ინარჩუნებდნენ ადგილს ლიდერთა ჯგუფში. მაგრამ ჩანაფიქრი ვერ გახორციელდა, სტუმრები დამარცხდნენ — 2:3



მ ა ზ რ ი

„კლასის ღონისე“

საპარტიკლოს პირველობა ფახზურთში

ეს იყო მატჩი „კლასის გუნდების დონეზე. წყალბურთულთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მომდევნო ტურში კენჭისყრამ ერთმანეთს შეახვედრა „კლასის დიდი ხნის მკვიდრი — თბილისის „დინამო“ და უმაღლესი ლიგის ახალი წევრი — „ბურევესტიკი“ (თბილისი).

თამაში საინტერესო გამოდგა. ორივე კართან ხშირად იქმნებოდა საინტერესო მომენტები, რომლებიც თითქოს გოლით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ორივე გუნდის დაცვა მოწინააღმდეგეობით იმარჯვებდა. დამაბული თამაში იმან განაპირობა, რომ „დინამო“ შეესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა სასაპარტიკლო.

„ბურევესტიკის“ წყალბურთულთა შუბოვარი მოქმედების მიუხედავად, ანგარიში მაინც „დინამოს“ გახსნა. მეორე პერიოდში სტუმრებმა სასაპარტიკლო ბურთი გაიტანეს — 1:1.

უკანასკნელ პერიოდში წინ კვლავ გავიდნენ დინამოელები. თითქოს მატჩი მათი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უკანასკნელ წუთზე ბურევესტიკელი ვ. მებრეველის ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა. სტუმრებმა მიაღწიეს საპარტიკლო ფრეს — 2:2.

თბილისის „ლოკომოტივიდან“ წინა დღის მატჩის დიდი ანგარიშით წაგების (0:13) შემდეგ ქუთაისის „განთიადს“ ამასვე უწინასწარმეტყველებდნენ სპორტულმა „ელმავლის“ გუნდთან თამაშის წინ. მაგრამ ამჯერად ქუთაისელი სპორტსმენები უფრო აქტიურად თამაშობდნენ. საქმე იქამდე კი მივიდა, რომ ანგარიში მათ გახსნეს. ეს გააკეთა ა. კაკოვიძმა თამაშის პირველ პერიოდში. შემდეგ რკინიგზელმა ზ. ჩუბინიძემ წინასწორება აღადგინა და თამაშის ბოლოს „ელმავლმა“ მიიღეს მოახერხა გამარჯვების მოპოვება — 2:1.

დინარჩენ ორ შეხვედრაში არაფერი საინტერესო არ მომხდარა. თბილისის „ლოკომოტივი“ დიდი ანგარიშით (8:0) მოუგო ბათუმის „განთიადს“, ხოლო თბილისის „განთიადს“ — სხუთების გუნდს (6:2).

ნ. კალანდიაძე

პრეს-კონფერენცია ბ. კაჩალინთან

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ გუშინ გამართა პრეს-კონფერენცია თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელთან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გ. კაჩალინთან.

გ. კაჩალინმა ილაპარაკა გუნდის ამოცანებზე და პერსპექტივებზე, აგრეთვე პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვას.

სამაშულო სპორტის ისტორიას ბევრი სახელი როდია შემორჩა. ხალხმა, გადმოცემებისა და ზეპირსიტყვიერების სახით, მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეული შემოგვინახა. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია გასული საუკუნის მოკლედვე, ლამის ლეგენდად ქცეული ხიზამბარელი.

სამწუხაროდ, გადმოცემებში მთელს საუკუნეს გამოტარებული ეს სახელი — ფალავნობისა და ვაჟაკობის სიმბოლო — უკანასკნელ დრომდე თითქმის სრული ბურუსით იყო მოცული. მიმდინარე წელი ამ მხრივ „ფეხბედნიერი“ აღმოჩნდა. „ლელოში“ უკვე გამოქვეყნდა ცნობა, რომ გასული საუკუნის ცნობილი პუბლიცისტის ახლო ფურცელადის ახლახან მიკვლეული წერილიდან შესაძლებელი გახდა ხიზამბარელის დაბადების თარიღის დადგენა — 1849 წელი.

ამ დღეებში კი მოპოვებულ იქნა ისეთი ძვირფასი წყარო, რომელიც მეტად საგულისხმო და ზუსტი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ეს წყარო ხიზამბარელის თანამედროვე ვინმე „ძველი მოკიდავის“ მოგონებაა, რომელიც 1888 წლის „ივერიაში“ (№ 169) დაიბეჭდა. იგი მცირეოდენი შემოკლებით მოგვცავს აქ:

„საქართველოში ბევრი გამოჩენილი მოკიდავე ყოფილა, მაგრამ ხიზამბარელისაგან — კი სახელი არავის გამოქვამს. ის თითქმის სახალხო გმირად გადაიქცა. ხელობით მეტივე იყო. ჭმუხი, მოკლე ხელ-მკლავებიანი, ცოტათი მოხრილი და დათვრად ნაკეთი. ტანზე, სადაც უნდა მოგველო ხელი, იტყვილი თუ ხე არისო, ანუ ქვა და არა ხორცია. გამოდიოდა სათემოდ, დადიოდა დღეობებზე და ვიცე გამოითხოვდა, მზად იყო შემპობდა. თან ახლდა ხოლმე ერთ ან ორი ამხანაგი მეტივეთაგანი, რომ ვინცაღა მარცხი მოგვლოდა ჭილაობაში, იმათ ებატონებინათ და სხვა ქომაგი დამხმარე არავინ ჰქავდა და არც ემებდა. ჭილაობაში ფულს არ იღებდა. დღეობაში ხალხი რითაც შეგიძლიან, უნდა შეაქციო და თვალის ხიერი უჩვენო“ — იტყოდა ხოლმე, ძალიან სახელგანთქმულსა და თავ-გასულს მოკიდავის არ ჰგავდა. ზუსტ კისრული იცოდა და რაღა-კი წამოიღებდა, იტყობდა ხოლმე, ახლა თუ გინდათ ხარ-კამერეც მოუბით, ვეღარ შემიძარებთ, გადავიტანო“...

ახალგაზრდა მოკიდავეს, თუ შეატყობდა ხიერს, განგებ დიდხანს ათამაშებდა ხოლმე, თითქოს უნდა გაათამაშოს და ასწავლოს ხერხი. ერთი ახალგაზრდა კახელი ეტიდებოდა ერთხელ, მაგრამ ტახით გამოვარდნილი ხიზამბარელი რომ დაინახა, შეშინდა... აღარ გეტიდებო. „შე ლაჩარო, ვინ ქართველი და ვინ შიშო“ — მიამახა: „აღმ, დამეტიდე თორემ მოკლავო“ — წამოაქცა და შეიბნენ, დიდხანს იტიდავეს. ახალგაზრდას გული მოეცა. ორჯერ მოუწოდო კისრული ხიზამბარელს, მაგრამ ვერ გადაიტანა. ბოლოს დაიძახა ხიზამბარელმა, გაგაშველეთო და გააშველეს. „კაი ბიჭი ყოფილხარ, ცოდვან შენი ვალხავო“, წასურჩულა ხიზამბარელმა და გადაკოცნა.

ერთხელ თათარი ჩამოვიდა. საოცრება რამ იყო. მარილის ქვებს იღებდა ხელზე და ბურთივით ათამაშებდა. ქალაქის დიდაკობა შეაწყობა: „ან დამეტიდე ვინმე და ან საჩუქრით გამისუფრეთ ჩემის ქვენიხაყრო“. თავადიშვილებმა ჩამოაყვანიეს ხიზამბარელი. თათარმა შეხედა და გაიცინა; ათვალწუნა და უთხრა: „ილოძე გურჭიო“. ხიზამბარელს გული მოუ-

ქართველი წარსულმეორეთა უარსლავიდან

პირველი ცნობები ხიზამბარელის შესახებ

ვიდა, ემგერა, მოიგლო ზურგზე და რუმბივით გადაგორა. „ეს როგორ იქნებო? განა ეს ჭიდაობა არის, მე მხოლოდ მივესალმე და სალამი არ გამეთავებინა, ისე მეძგერაო“. დასტიდეს მეორეთ. მეორეთაც როცა დაიკვირა ეს გოლიათი, მოუბრუნდა თავადიშვილსა და მოახსენა: „ბატონებო, ჭიდაობით ამ ვაჟაკს სალამი გაათავა თუ არაო? თათარს პირი გაუშვავდა და ხმა ვეღარ ამოიღო. „ახლა-კი დროა დაგვიფოს ჩვენ მიწაზედო“ და დაახეთქა საოცრად...“

ერთხელ კიდევ ერევნელი დაეჭიდა და გავიდა თუ არა, მუშტი ვაგარტყა თავ-პარში ხიზამბარელს, რომ დაერტყინებინა და სარმაც თანვე გამოჰკრა. ხიზამბარელი ტყუილადაც არ შეტრეხულა. „ბიჭო, კრივიში ხომ არ გამოვსულვარ, რომ იცემებო?“ მოილო ზურგზე, წაიღო ქვებანი მხარზე გადახული და უთხრა: „ახა ახლა-კი უნდა დაგვიფოს ამ ქვებო“, და მართლაც რომ ტყუილი იყო. მე თვითონ დამსწრე ვარ ამ ჭიდაობისა. ათოლამ სარმა გამოჰკრა მოულოდნელად ხიზამბარელს და ჩააჩოქა. მაშინ ხიზამბარელმა მოიგდა ზურგზე და შენს მტერს იმას დღეს დააყენებდა, რომ მიმხრეები არ გამოხსნოდა. გადევანიშვილები მისცივდნენ, და რომ ვეღარ გამოვლიტყეს ხელიდან ათოლა, ცემა დაუწყეს ხიზამბარელს, ძალიან დაუწყეს... გალახული ხიზამბარელი წავიდა გრიგოლ ორბელიანთან (მაშინ პოეტი კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას ასრულებდა. — 3. ს.) და სთხოვა: „გალახვამ თქვენი ჭირი წაიღოს. იმას არ ვჩივი, მაგრამ სახელის გატეხა უსამართლო მიმიძისო, ათოლა — დამეტიდე, რომ დავანახო ქვეყანას რა ფაღვანინც არისო“.

მთაწმინდაზე გამართეს ჭიდაობა. დიდძალი ხალხი მოაწყდა. გრიგოლ ორბელიანიც დაესწრო. გულმოსული ხიზამბარელი მართლაც რომ საუცხოვო სანახავი იყო: განთქმულ ათოლას აღარა გაუვიდა-რა საერო გმირთან და მოიდრიკა ქედი ხიზამბარელის წინ“.

ამრიგად, დღეს უკვე დაბეჭილებით შეგვიძლია ვთქვათ: ხიზამბარელი ზედმეტსახელია ფალავნისა, რომელიც სოფელ ხიზამბარში ცხოვრობდა. იგი დაბადებულია 1849 წელს, ხოლო გარდაცვლილია 24 წლის ასაკში — 1873 წელს (მოგონებაში ნათქვამია: „თხუთმეტი წელიწადი, რაც ხიზამბარელი მოკვდა...“). ზემოთყვანილი წყარო თვალნათლივ წარმოვვიდგენს გამოჩენილი მოკიდავის რამდენიმე სპორტულ ბრძოლასაც.

3. სიღამონიძე

„ლელოს“ კავშირი

ჩვენი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა ასეთი უინაარის მრავალწილი შეკითხვა: როგორ მოხდება ფულს გუნდების გაღასკვლა „კლასის“ ერთი ჯგუფიდან მეორეში, აგრეთვე „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში? ეს საკითხი აინტერესებთ ბ. კუპრაიშვილი, ბ. ბავაშვილი, ბ. ჯანელიძე, ბ. ჯანაშიაშვილი და სხვებს.

აღნიშნულ საკითხზე წერილი თავის დროზე გამოქვეყნებული იყო „ლელოში“. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის დებულებაში წერია: გუნდები, რომლებიც 1964 წლის გათამაშებაში „ა“ კლასის პირველ ჯგუფში დაიკავენ ბოლო 4 ადგილს, მომავალ წელს გადავლენ მეორე ჯგუფში, ხოლო გუნდები, რომლებიც მეორე ჯგუფში დაიკავენ პირველ 4 ადგილს, გადავლენ პირველ ჯგუფში. შეზღუდვები აქ არაა.

რაც შეეხება „ბ“ კლასის გუნდებს, მათი მონაწილეობა საკავში-

რო ჩემპიონატში განსაზღვრულია ასე: „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა კოლექტივებს შორის (რსფსრ-სა და უკრაინის გამოირცხვით) გამარჯვებული გუნდი „ა“ კლასის მეორე ჯგუფში გადავა მხოლოდ ამჟამინდელი წარმომადგენლის ადგილზე, რომელიც უარეს ადგილს დაიკავებს გათამაშებაში. ამ გადასვლის პირობებს განსაზღვრავს შესაბამისი რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია. გამოირცხვლის წარმომადგენელ მხოლოდ აწერბაიჯანი და მხოლოდეთი, რომლებსაც „ა“ კლასის მეორე ჯგუ-

ფში არა ჰქავთ წარმომადგენელი. მაგრამ თუ 1964 წელს მოკავშირე რესპუბლიკის გუნდი „ა“ კლასის პირველ ჯგუფიდან მიიღებს მეორე ჯგუფში გადასვლის უფლებას, ხოლო „ბ“ კლასის გუნდების ფინალურ ტურნირში გამარჯვებას ამავე რესპუბლიკის წარმომადგენელი, იგი 1965 წლისათვის „ა“ კლასის მეორე ჯგუფში ვერ შევა. სხვა სიტუციებით, თუ თბილისის „ლოკომოტივი“ გადავა „ა“ კლასის პირველ ჯგუფში, საქართველოს „ბ“ კლასის გუნდები „ა“ კლასის მეორე ჯგუფში მომავალ წელს ვერ მოხვდებიან.

